ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	060306

ქვეპროგრამის დასახელება:

სოფლის სამედიცინო პერსონალის სოციალური უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2026 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1,012,320
სულ ბიუჯეტი:	1,012,320

ქვეპროგრამის მიზანი:

სამედიცინო პერსონალის სოფლებში დამაგრება და მათი სოციალურ-ეკონომიური პირობების გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტების სოფლის მოსახლეობისათვის ბაზისური, უწყვეტი სამედიცინო მომსახურების მიწოდებისათვის სოფლის ექიმებისა და ექთნების სოციალური დახმარების დანიშვნა - მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულოს), ხელვაჩაურის და ქობულეთის სოფლის ექიმებისათვის – 480 ლარი, სოფლის ექთნებისათვის 300 ლარი;

ქვეპროგრამის აღწერა:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლებში, განსაკუთრებით მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის (სოფლის ექიმი, სოფლის ექთანი) მაღალი დენადობის გამო, სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს სრულად არ მიეწოდება პირველადი ჯანდაცვით განსაზღვრული სამედიცინო მომსახურება. სამედიცინო პერსონალის სოფლებში დამაგრების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მათი სოციალური უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის შესრულებაში მონაწილეობის უფლებით სარგებლობენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების სამედიცინო პერსონალი (სოფლის ექიმი და სოფლის ექთანი). დაფინანსება განხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მომსახურების მომწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ქვეპროგრამაში სამედიცინო პერსონალის ჩართვა განხორციელდება მუნიციპალიტეტების გამგებლების მომართვის საფუძველზე.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) სოფლის ექიმების სოციალური დახმარება	43	480	247,680
ქობულეთისა და ხელვაჩაურის სოფლის ექიმების სოციალური დახმარება	64	480	368,640
მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) სოფლის ექთნების სოციალური დახმარება	46	300	165,600
ქობულეთისა და ხელვაჩაურის სოფლის ექთნების სოციალური დახმარება	64	300	230,400
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			1,012,320

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სოციალური დახმარება	x	x	x	x

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

სოფლის სამედიცინო პერსონალის (სოფლის ექიმი, სოფლის ექთანი)ადგილზე დამაგრებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების სოფლის მოსახლეობისათვის უწყვეტი, ბაზისური სამედიცინო მომსახურეობის მიწოდების უზრუნველყოფა;

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
სოფლის სამედიცინო პერსონალის (სოფლის ექიმი, სოფლის ექთანი)ადგილზე დამაგრებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების სოფლის მოსახლეობისათვის უწყვეტი, ბაზისური სამედიცინო მომსახურეობის მიწოდების უზრუნველყოფა.	სოფლის სამედიცინო პერსონალის (სოფლის ექიმი, სოფლის ექთანი)ადგილზე დამაგრება	მაღალმთიანი მუნიციპალიტეტებში სოფლის ექიმის რაოდენობა – 43 სოფლის ექთანი -46 ქობულეთის და ხელვაჩაურის სოფლის ექიმები– 64 სოფლის ექთანი-64	მუნიციპალიტეტების გამგეობებიდან მოწოდებული ინფორმაცია დასაქმებული სოფლის ექიმების, სოფლის ექთნის რაოდენობისა და მათ მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ	ყოველთვიურად	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	მუნიციპალიტეტის გამგეობებიდან მოწოდებული ინფორმაცია